წერილის ნომერი: **18-01203292682**
თარიღი: **24/11/2020**
პინი: **5725**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,სამსახური“) განიხილა თქვენი 2020 წლის 16 ნოემბრის #60-01203212704 წერილი და AR1787258 განაცხადით ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც მოქალაქე დავით ელიზბარაშვილის მომართვის საფუძველზე ითხოვთ, შპს ,,ტოიოტა კავკასიას“ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, ელეფთერ ანდრონიკაშვილის ქუჩა #31ბ ს.კ. #01.11.03.003.027) (ს-1) IV კლასის საწყობის განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის ეტაპზე, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ სამსახურმა 2018 წლის 03 სექტემბრის #18-01182463272 წერილით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე, დააფიქსირა დადებითი პოზიცია, საპროექტო არეალში განთავსებული 10 ძირი მწვანე ნარგავის გადარგვაზე (8 ძირი #31, #32, #39, #40, #41, #42, #109, #110 ამერიკული ნეკერჩხალი, 2 ძირი #107, #108 თუთა). **წარმოდგენილი დოკუმენტაციით (გამწვანების პროექტი, საექსპერტო დასკვნა, გენ. გეგმა) პროექტის განხორციელებას ხელს უშლის დამატებით 5 ძირი მცირე ზომის ფოთლოვანი და 2 ძირი ხილ-კენკროვანი ხე.**

გაცნობებთ, რომ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე **ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს წერილობითი ნებართვის გაცემას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას.** ამდენად, საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებული **2 ძირი ხილ-კენკროვანი ხის (#35, #36) მოჭრა ან/და გადარგვა ნებართვას არ საჭიროებს.**

რაც შეეხება, **მცირე ზომის 1 ძირი იფანის (#23-5.2სმ) და 4 ძირი ამერიკული ნეკერჩხალის (#33-10.2სმ, #34-8.6სმ, #37-5.2სმ, #38-16.3სმ) საკითხს,** რომლებიც განთავსებულია საპროექტო ტერიტორიაზე, აფერხებს დაგეგმილ მშენებლობას და მათი გადარგვის შესაძლებლობა დადასტურებულია ექსპერტის მიერ, დადგენილების მე-2 თავის 21-ე და 21^2-ე მუხლების შესაბამისად, **სამსახური თანახმაა გასცეს ხეების იმავე ტერიტორიაზე გადარგვის ნებართვა მას შემდეგ, როდესაც დაინტერესებული პირი მოიპოვებს მშენებლობის ნებართვას/წერილობით თანხმობას და წარმოადგენს გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში.**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური გასცემს დადებით რეკომენდაციას მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის ეტაპზე.

რაც შეეხება, გამწვანების პროექტს, სამსახური პოზიციას დააფიქსირებს არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი